

საარჩევნო სისტემები და ფისკალური პოლიტიკა მრავალეთნიკურ  
სახელმწიფოში

ელენე მურმანიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საერთაშორისო ურთიერთობები

ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი (ასოცირებული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

*განაცხადი*

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

*ელენე მურმანიშვილი  
22.06.2018*

## აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა მრავალეთნიკურ სახელმწიფოში საარჩევნო სისტემებისა და ფისკალური პოლიტიკის კავშირის შესახებ. კერძოდ, კვლევის მიზანია დაადგინოს, რომელი საარჩევნო სისტემის პირობებში აქვთ ეთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებულ პარტიებს შანსი მოიპოვონ ადგილები სახელმწიფოს არჩევით ორგანოებში და რატომ? რომელი საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფს ეფექტიან ფისკალურ პოლიტიკას? ჰიპოთეზა დედუქციურად მიღებულია ლაიფჰარტის კონსოციალიზმის თეორიიდან, რომლის ტესტირებისათვის კვლევის ფარგლებში გამოყენებულია, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. ძირითად მეთოდად აღებულია შემთხვევის შესწავლის შედარებითი ანალიზი. შესასწავლ შემთხვევებად შერჩეულია ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკა. ორივე ქვეყანა არის დემოკრატიული, მრავალეთნიკური და ორივე მათგანმა შეცვალა საარჩევნო სისტემა - გადავიდა მაჟორიტარულიდან პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე. ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ საარჩევნო სისტემას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა, როგორც ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკის განხორციელებაზე არჩევნების გზით ჩართულობის ზრდით, ისე ფისკალურ პოლიტიკაზე. გამოიკვეთა, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში ეთნიკურ უმცირესობებს უფრო მეტად ეძლევათ შანსი წარმატებას მიაღწიონ არჩევნებში და შემდეგ მონაწილეობა მიიღონ ისეთი საკითხების გადაწყვეტაში როგორცაა: სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმა; საგადასახადო სისტემის რეფორმა; სახელმწიფოს შემოსავლების განკარგვა და სხვა. წარმოდგენილი კვლევა თავისი შედეგებით ნათლად გამოყოფს საკითხებს, რომლებიც სამომავლოდ კვლევის გაგრძელებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის.

*საკვანძო სიტყვები: მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემა; ფისკალური პოლიტიკა; ეთნიკური უმცირესობები.*

## **Abstract**

The present Master's Thesis investigates connection between electoral systems and fiscal policies in the multinational states. The aim of the research is to determine under which electoral system have political parties with ethnic minorities chance to win seats in the representation institutions and why? And which electoral system provides more effective fiscal policy?

The hypothesis is deduced from Lijphart consociational theory. For testing hypotheses the research utilizes mixed, qualitative and quantitative methodology. The main research method is comparative case study analysis of two cases - New Zealand and South Africa. Both countries are democratic, multiethnic and both of them have changed the electoral system from the majoritarian to proportional electoral system.

The conducted research shows that the electoral system has a significant impact on the implementation of the policies of ethnic minorities through the process of the elections, as well as on the fiscal policy. It has been revealed that, under the proportional electoral system ethnic minorities are more likely to succeed in the election and then participate in resolving the issues such as: planning the state budget; reform tax system; administer state revenues and so on. The presented research clearly outlines new challenges for further advanced research.

**Key words:** *majoritarian and proportional electoral system; fiscal policy; ethnic minorities.*